



Friends
of the
Earth
Georgia

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა
ფედერაციის მეცნიერები - საქართველო

გარემო და საზოგადოება

საქართველოს მწვანეთა მოძრაობის პერიოდული გამოცემა. № 1 (27) 2015 წელი



სამართლო-ზემო სვანეთი - პონეურსის გამარჯვებული რეგიონი

პროექტის - „დაგასუფთაოთ საქართველო - საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მისი ჩართვა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროცესში (ფაზა 2)“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება შევდეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით, განმახორციელებელი ჯგუფის მიერ 2014 წლის დასაწყისში გამოცხადდა კონკურსი სახელწოებით „სუფთა რეგიონი“, რომლის მიზანი იყო გამოვლენილიყო საქართველოს ყველაზე მეტად დასუფთავებული რეგიონი, მუნიციპალიტეტი და სოფელი.



კონკურსის ფარგლებში შემოსული ინფორმაციისა და ჩატარებული აქციების შეჯამების შედეგად გამოვლინდა 2014 წლის ყველაზე სუფთა რეგიონი.



- 2014 წლის სუფთა რეგიონის წოდება მიენიჭა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონს:
- 2014 წლის სუფთა მუნიციპალიტეტის წოდება მიენიჭა ახმეტის მუნიციპალიტეტს:
- 2014 წლის სუფთა სოფლის წოდება მიენიჭა სოფელ ჭითაწყარო (ზუგდიდი მუნიციპალიტეტი).

გამარჯვებულებს სიმბოლური საჩუქრები გადასცეს პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის წევრებმა, შევდეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) ხელმძღვანელმა საქართველოში ქალბატონმა ევა სმედბერგმა და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა ბატონმა ელგუჯა ხოკრიშვილმა.



ერთხელ ახალიაში ანუ ერთჯარადი მოთხოვნილება...

ჯერ კიდევ მაშინ, როცა 1961 წელი იყო და ჩემი საჭიროება არსებობდა, მაგრამ ჩემ-ზე არავინ ფიქრობდა, კოსმოსური ხომალდით „ვოტსტოკ-1“ საბჭოთა კოსმონავტი იური გაგარინი გაფრინდა შორეული ვარსკვლავებისკენ... ვინ ითქმირებდა, რომ ისე როგორც ეს „გაფრენები“ მეც გარემოსა და ჩვენი პლანეტისათვის სერიოზული საფრთხე გავხდებოდი...

ერთხელ ამერიკაში ქიმიკოსს, სამი შვილიშვილის ბაბუას, ვიქტორ მაილზს ცხოვრებამ აიძულა, რომ მე გამოვეგონებინე. ეს მოხდა ერთ მშვენიერ კვირა დღეს, მშობლებმა ბაბუას შვილიშვილები მიუყვანეს. შეწუხებულმა ბაბუამ ჩემი შექმნისთვის ტექნოლოგიის დამუშავება დაიწყო. ჩემზე პირველი ექსპერიმენტი კი მისმა შვილიშვილებმა ჩაატარეს, შემდეგ ხალხი გადაირია ჩემზე, ყველგან გაჩნდა ჩემზე ერთჯერადი მოთხოვნილება, იმდენად კარგი ვიყავი სახელად „განებივრებაც“ კი დამარქვეს.

მე ვიქტორ მაილზის მოგონილი „პამპერსი“ ვარ. „პამპერსი, რომელმაც ეპოქა შეცვალა და ყველგან ჩემმა გამოჩენამ ახალი ეპოქაც კი შექმნა... ასე დიაბადა „პამპერსის თაობა“. მე გავანებივრე ბავშვები, უფრო სწორედ დედები და მამები, მაგრამ მე არ მაქვს ჩემი ადგილი, მე ხომ ერთჯერადად გჭირდებით და ჩემ შემდგომ ბედზე არავინ.... ან თითქმის არავინ ფიქრობს...

სანამ ერთი ქვეყნიდან მეორეში გადავაადგილდები, სამედიცინო პროდუქტი მქვია, ვცხოვრობ აფთიაქებში, საიდანაც ცალობით წამიღებენ, გამომიყენებენ და ნარჩენად, უფრო სწორედ კი ნაგვად გადამაქცევენ... მაგრამ რატომღაც გამოყენების შემდეგ სტატუსი მეცვლება და არც სამედიცინო ნარჩენი მქვია და არც სახიფათო, არადა როცა გადასახადებისაგან თავის არიდება სჭირდებათ, მაშინ სამედიცინო ვარ, გამომიყენებენ და მერე ჩემი მოვლისთვის ფულის დახარჯვა ენანებათ და ჩვეულებრივი ნაგავივით მექცევიან... არადა სულ არ ვარ ჩვეულებრივი, სხვა საყოფაცხოვრებო და სამედიცინო ნარჩენზე „გამძლე და მდგრადი“ ვარ, გამოყენების შემდეგაც შემიძლია ბევრს ვანანო ასეთი მოქცევა ჩემთან... მე ხომ პოლიეთოლენის პარკებსა და „პლასტმასის“ ბოთლებზე დიდ ხანსაც კი ვცოცხლობ...

მე გამოყენებული და ქუჩაში მოსროლი პამპერსი ვარ...

წლებია საქართველოში ვცხოვრობ და ნებისმიერ ფასად მყიდულობენ... მყიდიან... მყრიან - ტრანსპორტიდან, კორპუსებიდან ან სულაც სადარბაზოდან... მოსროლილ ვის მანქანაზე არ მიმირტყამს თავი.

ამბობენ თუ უადგილო ადგილს დამინახეს ჯარიმა იქნებაო, მაგრამ სად არის ჩემი ადგილი ჯერ კიდევ გაურკვეველია, რამდენად საშიში ვარ და რა კატეგორიას განვეკუთვნები, ვინ ვარ მე?

სამედიცინო ნარჩენი თუ უბრალოდ ნარჩენი, არადეგრადირებადი, მეტჯერ გამოუყენებელი ნაგავი, რომელსაც ხშირად „ჩვეულებრივ“ სანაგვეს - საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონსაც კი არ აღირსებენ ხოლმე...

არადა მე მართლაც განსაკუთრებული ვარ და განსაკუთრებულ მოპყრობას ვიმსახურებ! მე მართლაც სამედიცინო ნარჩენი ვარ და თანაც როგორი?! მითქმილდით მე განებივრებთ, მაგრამ თუ სათანადოდ, ისე რო-



გორც მეკადრება არ მომექუვით, მზად ვარ ჩემ შეიარაღებაში არსებული მიკრობებისა და ქიმიური ნივთიერებებით მთელი არსენალი თქვენს წინააღმდეგ მიემართო...

მე ერთხელ ამერიკაში მაილზმა გამომიგონა და „გამანებივრებელი“ შემარქვა, საქართველოში კი ალბათ ჩემ ხარჯზე გამდიდრებული ბიზნესმენების ფაქიზი ჯიბეების ზედმეტი შეწუხებისაგან დაცვის მიზნით სათანადო ადგილს არ მანიჭებენ... „შემოვდივარ“ დაუბეგრავად, როგორ სამედიცინო პროდუქტი, მყიდიან, მიყენებენ და შემდეგ აღარ უნდათ მაღიარონ სამედიცინო ნარჩენად... ასე არ გამოვა მეგობრებო, დამაფასეთ და მომეპყარით სათანადოდ, თუ არადა ინანებთ!

არ მომისროლოთ !

განმაცალკევეთ !

მაღიარედ სამედიცინო ნარჩენად !

და

განმათავსეთ, გამაუვნებლეთ, როგორც სამედიცინო ნარჩენს ეკადრება, გახსოვდეთ მე სახიფათო და ძალიან მედეგი გახლავართ, მე ასეული წლობით შემიძლია „წყუნის გულში შენახვა“ და სამაგიეროს გადახდა !

დამაფასეთ და მაღიარეთ, მაშინ კვლავ გაგანებივრებთ და არ განანებთ...

სოფო ძიგუა

TV და რადიო პალიტრა, გარემოსდაცვითი თოქ-შოუ „მწვანე-ზონის“ კორესპოდენტი


გა - ნარჩენი - ნაგავში

ქუჩებში სავსე ურნები, ხებზე პარკები, არასათანადო ადგილზე დაყრილი ნაგავი, სუნი, რომელიც გახრჩოს და ისე გაღიზიანებს, რომ ცდილობ ჩქარა მოშორდე ამ ადგილს - ყველასათვის ნაცნობია.

„ნუ დაყრი ნაგავს“ - ხშირად მოგვხვედრია თვალში ასეთი ტიპის წარწერა სხვადასხვა ადგილას, იქნება ეს კერძო საკუთრების თუ სახელმწიფო დაწესებულების შენობები, თუმცა ისიც გვინახავს როგორ ყრია ნაგავი ამ წარწერების ქვეშ.

„აბა სად წავილოთ ნაგავი?!“ - დიდ ქალაქებში ეს პრობლემა მეტაკლებად მოგავრებულია, ნაკლებად არის გადავსებული ურნები, მაგრამ დიდი პროებლემები რეგიონებში და სოფლებში, სადაც უმრავლეს შემთხვევაში კომნტეინერებიც არ დგას და ნაგავის პროებლემაც უმართავია, რამაც წარმოქმნა ე.წ სტიქიური ნაგავსაყრელები, რომლებიც თავის მხრივ დიდ პრობლემას წარმოადგენს.

ნარჩენი სხვა გარემოს დამაბინძურებლებთან შედარებით ყველაზე თვალით ხილული პრობლემაა, რომელიც სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან შედგება და რაოდენგასაკვირიც არ უნდა იყოს ხშირ შემთხვევაში შეიძლება მომგებიანი და სასარგებლოც აღმოჩნდეს.



ნაგავი თუ ნარჩენი

რომ გავიგოთ რა შემთხვევაში შეიძლება მივიღოთ სარგებელი ნარჩენებისაგან და შევამციროთ გარემოზე მისაყენებელი ზიანი, პირველ რიგში უნდა გავრკვეთ რა განსხვავებაა ნაგავსა და ნარჩენებს შორის.

ჩვენ ყველაფერს ნაგავს ვეძახით, რაც უკვე პირველადი მოხმარების შემდეგ ვყრით, იქნება ეს ე.წ პოლიეთილენის პარკები, ბოთლები, თუნუქის ქილები თუ სხვა. თუმცა, ნარჩენები ნაგვისგან განსხვავებით შეიძლება მეორადად გადამუშავდეს და შეცვლილი სახით გამოვიყენოთ.



ფლას ჩვენთან საქართველოში

დღესდღეობით საქართველოში ყველა სახის ნარჩენები შერეულია ანუ ნაგვის სახით გროვდება, რისთვისაც გამოიყენება საშუალო ზომის კონტეინერები. აღნიშნულის შემდგომ იგი სატვირთო მანქანებით გადაიზიდება ეგრეთწოდებულ მყარი საყოფაცხოვრებო (მუნიციპალური) ნარჩენების პოლიგონებზე, სადაც საუკეთესო შემთხვევაში ისინი რა თქმა უნდა შერეული სახითვე იმარხება. სულ საქართველოში 70-ზე მეტი ასეთი პოლიგონი ფუნქციონირებს, თუმცა გარემოსდაცვის ექსპერტის, "საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის" წარმომადგენელის ლია თოდუას აზრით, არსებული პოლიგონების აბსოლუტური უმრავლესობა, არ შესაბამება ნარჩენების უსაფრთხო განთავსების ელემენტარულ პრინციპებსაც კი და პრაქტიკულად არაფერით განსხვავდება ჩვენთან არსებული 300-მდე სტიქიური ნაგავსაყრელისგან.



კი ის არის, რომ ამ დროს ნაგვის ალში იწვის პლასტმასის (პეტ) ბოთლები, პოლიეთილენის პარკები და სხვა პოლიმერული მასალები, რის შედეგადაც პარკები გამოიყოფა სხვადასხვა კანცეროგენული (სიმსივნის გამომწვევი ნივთიერებები) მათ შორის დიოქსინები და სხვა მდგრადი ორგანული დამაბინძურებლები." - აცხადებს ლია თოდუა.

სწორედ, ნარჩენების შერეულად ანუ ნაგვის სახით შეგროვება საბოლოოდ უმძიმესი შედეგებით, მათ შორის ათასობით ადამიანის ჯანმრთლეობის გაურესებით და ხშირად სასიკვდილო შედგიდაც კი მოავრდება.

არადა, საქართველოში საკმაოდ ბევრია საწარმო, სადაც შესაძლებელია სხვადასხვა სახის ნარჩენის გადამუშავება. ჩვენთან ფუნქციონირებს მინის რამდენიმე ქარხანა და ქაღალდის გადამამუშავებელი ფაბრიკა, არის გარკვეული მოთხოვნა მეორადი, ე.წ. პლასტმასის ბოთლებსა და პოლიეთილენის პარკებზე, ხოლო სხვადასხვა სახის ლითონის პროდუქციაზე კი მოთხოვნა შეიძლება ითქვას ამოუწურვადია, რადგან ჯართის სახით,

"იქ განთავსებული ნარჩენები, გარემოს - ნიადაგის და წყლის მუდმივი დაბინძურების წყაროდ გვევლინება. ჩვეულებრივ, მძიმე მდგომარეობაა პაერის დაბინძურების მხრივაც, რადგან საერთო მასაში შერეული ორგანული წარმოშობის ნარჩენები მათი სათანადო რაოდენობით მიწით დაფარვისა და შემდგომი დაწნებვის - „დაპრესვის“ განუხორციელებლობის გამო აალდება, რაც მათი ხრწის პროცესის - მეთანის ე.წ. „ბუნებრივი აირის“ გამოყოფის და მასზე მაღალი ტემპერატურის ზემოქმედების შედეგია. ყველაზე საგანგაშო

ფერადი და შავი ლითონები ინტენსიურად გაედინება საქართველოს საზღვრებს გარეთ. ეს ყოველივე თითქოსდა მნიშვნელოვნად უნდა ამცირებდეს, პოლიგონებზე განსათავსებელი საყოფაცხოვრებო ნარჩენების რაოდენობას, მაგრამ ეს ასე არაა, რადგან საწყის ეტაპზევე ნარჩენები ირევა კონტეინერებში, საიდანაც შემდგომ მათი გამოცალკევება უაღრესად რთული, ხოლო ზოგჯერ შეუძლებელია. ამიტომაც, ხსენებული საწარმოები და მიმღები პუნქტები დიდი წილად დაუტვირთავი რჩება და „სასარგებლო“, საკმაოდ ფასეული ნარჩენები, შემოსავლის ნაცვლად საბოლოოდ დაავადებებისა და სიკვდილის წყაროდ იქცევა.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს, გარემოს დაცვის სამინისტრომ პარლამენტს წარუდგინა კანონპროექტი „ნარჩენების მართვის შესახებ“, თუმცა გარემოსდაცვითი საკითხების ექსპერტის ლია თოდუას განმარტებით ეს საკმარისი არ არის.

„ის რომ ხელისუფლების მიერ კანონპროექტი მომზადდა და ნარჩენების მდგრადი მართვისაკენ გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები პოზიტიური მოვლენად მიმაჩნია, თუმცა არასაკმარისად. ჩემი აზრით, უმთავრესი მაინც ის არის, რომ საქართველოში მთლიანობაში და საწყის ეტაპზე მაინც, მსხვილ ქალაქებში ადმინისტრაციულმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ ნარჩენების განცალკევებული სახით შეგროვებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნა. ამ შემთხვევაში საუბარია ნარჩენების ისეთი ძირითადი სახეები განცალკევებული შეგროვებისათვის საჭირო კონტეინერების განთავსებაზე, როგორიცაა ქალაქდი, პოლიმერული მასალები, ლითონი, მინა, საკვები და სხვა ორგანული ნარჩენები. ამ შემთხვევაში, მით უფრო თუ ეს სათანადო საინფორმაციო კამპანიის ფონზე განხორციელდა, საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობა ძალიან მალე მიეჩვევა ამგვარი სისტემით სარგებლობას, რადგან გააცნობირებს მის დიდ მნიშვნელობას გარემოსდაცვითი და ეკონომიკური თვალსაზრისით.“ - ამბობს გარემოსდაცვითი საკითხების ექსპერტი ლია თოდუა.



„ განცალკევებული შეგროვებისათვის საჭირო კონტეინერების განთავსებაზე, როგორიცაა ქალაქდი, პოლიმერული მასალები, ლითონი, მინა, საკვები და სხვა ორგანული ნარჩენები. ამ შემთხვევაში, მით უფრო თუ ეს სათანადო საინფორმაციო კამპანიის ფონზე განხორციელდა, საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობა ძალიან მალე მიეჩვევა ამგვარი სისტემით სარგებლობას, რადგან გააცნობირებს მის დიდ მნიშვნელობას გარემოსდაცვითი და ეკონომიკური თვალსაზრისით.“ - ამბობს გარემოსდაცვითი საკითხების ექსპერტი ლია თოდუა.

იქ. საფაც „ნარჩენების ინტეგრირებული მართვის სისტემა“ არსებობს

თანამედროვე სამყაროში ყველაზე მოწინავედ და ეფექტურად ნარჩენების ინტეგრირებული მართვის სისტემის კონცეფცია ითვლება. ის მოიცავს ნარჩენების წარმოქმნის პრევენციას, რესურსების აღდგენას, დაინტერესებული მხარეების მონაწილეობას, ასევე სხვა სისტემებთან ურთიერთქმედებას და სხვადასხვა სიდიდის დასახლებების (ქალაქი, დაბა, სოფელი) ინტეგრირებას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ტექნოლოგიების შერჩევისა თუ სისტემის ჩამოყალიბების დროზე ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ერთიანი სახელმწიფო სტრატეგიის და გამართული კანონმდებლობის არსებობაა.

გარემოს დაცვის პრინციპები მოიცავს შემდეგ აუცილებელ პირობებს ნარჩენების მართვასთან მიმართებაში, ესენია:

1. საზოგადოების ჩართულობა ნარჩენების მართვის სისტემის მთელ ციკლში, დაგეგმვიდან განცორციელებამდე.
2. ნაგავსაყრელზე განსათავსებელი ნარჩენების რაოდენობის შემცირება.
3. ნარჩენების ხელმეორედ გამოყენება და გადამუშავება.
4. ნარჩენების შეგროვება და ხელმეორე გამოყენება ხელმისაწვდომი ტექნოლოგიით.
5. ნარჩენების მართვის სისტემის განხორციელება და მონიტორინგი.

ნარჩენების ინტეგრირებული მართვის კონცეფციის ძირითადი პრინციპები მნიშვნელოვანწილად ემთხვევა განვითარებულ ქვეყნებში სულ უფრო ფართოდ გამოყენებად „3 რ ინიციატივის“ დებულებებს, როგორიცაა შეამცირე- ხელახლა გამოიყენე-გადამუშავე-

რას გულისხმობას „3 რ ინიციატივა“



პირველი „რ“ (reduce) – „ნარჩენების რაოდენობის შემცირება“ პირველ რიგში გულისხმობს შესაფუთი მასალის შემცირებას, რა მხრივაც მნიშვნელოვანი როლი არა მხოლოდ მწარმოებლებს არამედ მოქალაქეებსაც აკისრიათ, რომლებსაც უპირველეს ყოვლისა შეუძლიათ უარი თქვან პოლიეთილენის ერთჯერად ჰარკებზე და ისინი მრავალჯერადი ნაჭრის ან სხვა მასალის ჩანთებით ჩაანაცვლონ.

მეორე „რ“ (reuse) – „ნარჩენების ხელახალი გამოყენება“ - მრავალი სახის პროდუქცია შეიძლება მარტივად იქნას ხელმეორედ გამოყენებული იმის ნაცვლად, რომ იგი საბოლოოდ „ნარჩენად იქცეს“ და კიდევ უფრო გაზარდოს ისედაც კოლოსალური მოცულობის ნაგვად ქცეული ნარჩენების ნაკადი. ამის მაგალითები ძალიან ბევრია დაწყებული ტანსაცმლიდან, რომელიც შეიძლება მარტივად განახლდეს ან სხვა ნაკლებად შეძლებულ მფლობელს გადაეცეს და დასრულებული მთლიანობა შენარჩუნებული მინის ბოთლებით, რომლებიც ძალიან მარტივად, მხოლოდ გარეცხვის გზით ხელმეორედ გამოიყენება წარმოებების მიერ.

მესამე „რ“ (recycle) – „ნარჩენების, როგორც მეორადი რესურსების გადამუშავება“ - ეს ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულებაა, ნარჩენების მართვის სისტემაში, რადგან პრაქტიკულად ყველა სახის ნარჩენი მათი განცალკავებული შეგროვების ან შემდგომი გამოცალკევების - სეპარირებისას ექვემდებარება გადამუშავებას, იქნება ეს ქაღალდი, ლითონი, მინა, ლითონი თუ სხვა. რაც შეეხება ორგანულ ნარჩენებს, მათ ხშირად იყენებენ ე.წ. კომპოსტირებისთვის, ანუ მათგან ორგანული სასუქის მომზადებისათვის.

პროფესია: ლუქა-კურისა და ბუნებისთვის

ალბათ არაფერს ვამპობ უცნაურს, როცა იმ ადამიანებზეც მინდა მოვყვე, რომლებიც ყველა ჩვენთაგანს შეხვედრია - ადამიანები, რომლებიც დღედაღამ ნაგავში იქენებიან, ადამიანები ბოთლებით სავსე ტომრებით, სხვადასხვა სახის ნარჩენებით, საბრალო და სასურველი „ნარჩენის“ დანახვის გახარებული სახეებით. ბევრისთვის უკვე ნაცნობი „ნაგვის მაძიებლები“, რომლებიც ასე შოულობენ პურის ფულს და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს სამშობლოს წინაშეც იხდიან ვალს. ერთ-ერთი მათგანი გახლავთ ნოდარ ჩერქეზიშვილი, რომელიც სიამაყით ყვება თავის პროფესიაზე.

„მე ნოდარი მქვია, სიღნაღის რაიონის სოფელ მაღაროში ვცხოვრობ, მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი განათლებით ზოონინური გარ და განათლება უკრაინაში მაქვს მიღებული, 12 წელია ველოსიპედით დავდივარ თბილისი-კახეთის გზატკეცილზე და მთელ კახეთში ვაგროვებ შუშის და პლასტიკმასის ბოთლებს. შემდეგ ისინი თბილისში ჩამომაქვს და ვაბარებ, მიუხედავად იმისა რომ ეს ძალიან სახითათო საქმეა და შემოსავალიც ასე 7-10 ლარი მაქვს. დაახლოებით 200 შუშის ბოთლი მიმაქვს ერთ წასვლაზე, 3 დღე ვუნდები თბილისში ჩასვა-ჩამოსვლას, გზაში ხან ჩანთა გამეხვევა, ხან ბორბალი მიფუჭდება, უკვე 2-ჯერ მოვყევი ავარიაში, მაგრამ გადავრჩი. რომ მეუბნებიან ხოლმე სად შოულობ ამდენ ბოთლსო ვგიუდები, საქართველო ერთი დიდი ურნაა, სანაგვედაა ქცეული, ტყეები დაბინძურებულია აბა ვის მოეწონება ამის ნახვა...“ - ყვება ბ-ნი ნოდარი.

ნოდარის ბევრი მისნაირისგან განსხვავებით გაცნობიერებული აქვს რომ გარდა ლუკმა-პურის ფულისა, იგი თავისი საქმით გარემოსდაცვით საქმიანობასაც ეწევა და ამით ქვეყანასაც ეხმარება, თან ლიმილით დააყოლებს ხოლმე - „ბენდუქიძემაც ბოთლების შეგროვებით დაიწყოო“.



დაბოლოს...

საქართველოში საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის მხრივ არსებული მძიმე ვითარების გამოსწორება საზოგადოებისა და ხელისუფლების ერთობლივი ძალისხმევითაა შესაძლებელი! ამ საქმეში კი თითოეული მოქალაქეს შეუძლია საკუთარი წვლილი შეიტანოს. არც თუ ისე ძნელ ამოცანას წარმოადგენს მაგალითად ნარჩენების ურნამდე ან კონტეინერებამდე, თუნდაც ჯიბით ან ჩანთით მიტანა, ყოველთვიურად ათობით და ხშირად ასობით პოლიეთილენის პაკეტის ნაცვლად ნაჭრის ჩანთის გამოყენება, ნივთების განახლება ან გაცემა, შუშის ბოთლების შეგროვება, მათი შემდგომი ჩაბარება ან ერთ ადგილას, სხვა ნარჩენების განცალკევებით, კონტეინერის გვერდზე განთავსება და სხვა მრავალი... მაგრამ ეს ყოველივე რა თქმა უნდა საკმარისი არ არის. ამიტომ, სახელმწიფოს გადამწყვეტი როლი ეკისრება ნარჩენების თანამედროვე, მდგრადი, ინტეგრირებული მართვის სისტემის დროულ ჩამოყალიბებასა და გამართულ ფუნქციონირებაში, რადგან სწორედ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ინფრასტრუქტურული გარემოს შექმნა, ასევე ამ მიმართულებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისთვის საჭირო ღონისძიებათა მთელი კომპლექსის შემუშავება დადროული განხორცილება...

სოფო ძიგუა

TV და რადიო პალიტრა, გარემოსდაცვითი თოქ-შოუ „მწვანე-ზონის“ კორესპონდენტი

Clean Up ურნის გარეშე...

თუ ქუჩაში ნებისმიერი სახის ნარჩენის დაყრას გადაწყვეტთ, საბასუბოდ 80 ლარით დაჯარიმდებით, თუ შენობიდან დაპირებ ნაგვის გადმოყრას – 100 ლარით, ხოლო ავტომობილიდან – 120 ლარით. აღნიშნულს ახლახანს მიღებული „ნარჩენების მართვის“ კოდექსი ადგენს, რომლის ავტორიც გარემოს დაცვის სამინისტროა.

გარემოს დაბინძურებაზე მინიმალური ჯარიმა 50 ლარით, მაქსიმალური კი 5 ათასი ლარით განისაზღვრა. ჯარიმის ოდენობას კი ნაგვის მავნებლობა და წონა განსაზღვრავს.



რას ფიქრობს საზოგადოება ამის შესახებ და იმუშავებს თუ არა ეს მექანიზმი, აღნიშნულზე მოქალაქეებისაგან შემდეგი შევიტყვეთ:

ირაკლი გოგლიძე: „ეს ყველაფერი კარგია და იმედია მივეჩვევით, მაგრამ სანამ აამოქმედებენ ამ კანონს, იქნებ ურნებიც დაამატონ, ყველამ ვიცით, რომ ქალაქში არ გვაქვს საკმარისი ურნები, სადაც შევძლებთ ნაგავი განვათავსოთ“

ლია გაშაკიძე: „იმედია, ეს ჯარიმები კულტურას გვასწავლის ქართველებს, თავიდან კონტროლიორების თემაც გვაწუხებდა ავტობუსებში, მაგრამ მივეჩვით, ალბათ რაც მეტი იქნება ჯარიმა, მით უფრო დავიცავთ გარემოს დაბინძურებისგან“

ნოდარ ბათიაშვილი: „ყველაზე მეტად მომწონს ეს კანონი რაც მიუღიათ, მხოლოდ ეს ჯარიმა თუ შეაშინებს ქართველებს. მაგრამ აქ არის პრობლემა, სად წავიღოთ ეს ნაგავი.“

მე პირადად ჩხიკვაძეზე ვცხოვრობ და დადინანის ქუჩამდე ხელით ჩამაქვს ნაგავი, იმის გამო, რომ ურნა არ დგას ჩემ ქუჩაზე...“

აღსანიშნავია, რომ ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დაიწყება ადმინისტრაციული საქმის წარმოება, აღნიშნული კანონდარღვევად ჩაითვლება და მოხდება ჯარიმის იძულების წესით ამოლება. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის სამსახურის უფროსის ალვერდ ჩანქსელიანის განცხადებით აღნიშნული კოდექსის შემუშავება აუცილებელი გახდა არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე და სანქციები მისი ეფექტურობის ერთ-ერთი ძირითადი გარანტია.



- „ნარჩენების მართვის კოდექსის“ კანონპროექტის შემუშავებას წინ უძღვდა რთული მოცემულობა – ქვეყანაში ნარჩენების არსებული სისტემები რეალურად ვერ პასუხობდა ეკოლოგიურ და სანიტარულ მოთხოვნებს; რეგულაციები, რომლებიც არსებობდა ჩვენს ქვეყანაში იყო ფაქტობრივად, საბჭოთა პერიოდის დროინდელი ნორმები, აბსოლუტურად შეუსაბამო თანამედროვე სტანდარტებთან. დიდი ხანია დგას დღის წესრიგში სამართლებრივი ბაზის შემუშავების აუცილებლობა.
- ახალი კანონპროექტით, სანქციების საკითხი გადამუშავდა თავიდან ბოლომდე, მოხდა მისი ინტეგრირება ერთ კოდექსში, რომელიც სრულ შესაბამისობაშია ევრორეგულაციებთან, ჯარიმების ოდენობა განისაზღვრა ექსპერტების მიერ ადგილობრივი რეალობის გათვალისწინებით. სამუშაოდ ავილეთ გერმანიის მაგალითი, თუმცა ჩვენს საჯარიმო სანქციებში მოხდა აյ არსებული რეალობის გათვალისწინება. მოქალაქე, მეწარმე, რომელიც ჯარიმდება გარემოს დაბინძურებისა-თუ დანაგვაინებისთვის, უნდა იყოს გადამხდელუნარიანი. კანონპროექტის ყველა პუნქტს ვერ ჩამოვთვლი, ეს ვრცელი ნუსხაა, მაგრამ საკმაოდ გამკაცრდა გარემოს დანაგვიანებისთვის დადგენილი სანქციები პარკებში, სკვერებში, დაცულ ტერიტორიებზე, მაგალითისთვის მოვიყვან რამდენიმე პუნქტს: 2 კილოგრამამდე მუნიციპალური ნარჩენების გარემოში დაყრა, გადაგდება ან/და მიტოვება, გამოიწვევს დაჯარიმებას 80 ლარის ოდენობით; იგივე ქმედება ჩადენილი საცხოვრებელი სახლებიდან ან შენობა-ნაგებობებიდან ჯარიმდება 100 ლარით. ხოლო 2 კილოგრამამდე ნარჩენის გადაყრა ავტოსატრანსპორტო საშუალებიდან, გამოიწვევს მძღოლის, ხოლო საზოგადოებრივი ტრანსპორტის შემთხვევაში, დამრღვევის დაჯარიმებას 120 ლარის ოდენობით. ცვლილება ითვალისწინებს შინაური ცხოველის მეპატრონის 50 ლარით დაჯარიმებას, თუკი ის ტერიტორიას ფეკალური მასისგან არ გაასუთავებს. 150 ლარით დაჯარიმდება ის ადამიანი, რომლის ცხოველმა, ტერიტორიის 1 კუბური მეტრი ფეკალური მასით დააბინძურა... სანქციების ოდენობასთან დაკავშირებით კანონპროექტზე მომუშავე ჯგუფის წევრებს შორის განსხვავებული აზრი იყო, მაგალითად მესოციალური ფონის გათვალისწინებით შედარებით დაბალი ჯარიმების დაწესების მომხრე ვიყავი, მაგრამ საბოლოოდ ჯარიმების დღეისათვის მიღებულ ოდენობებზე შევთანხმდით“.

სანქციების არსებული სახით და არსებულ მომენტში შემოღების შედეგიანობის არ სჯერად გარემოსდამცველების მნიშვნელოვან ნაწილს, რომლებიც აცხადებენ რომ თუ სრულფასოვნად არ დარეგულირდა ნარჩენების შეგროვება-გატანის საკითხი, ნარჩენების მართვის ეს სისტემა, მხოლოდ ჯარიმების „ხარჯზე“ შედეგის მომტანი ვერ იქნება...

„საიმისოდ, რომ ასე ვთქვათ დანაგვიანების გამო სანქციების გამკაცრება საგრძნობი ეფექტის მომტანი გახდეს, აუცილებელია პარალელურ რეჟიმში მოგვარებული ყოფილი ნარჩენების განთავსებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის მოწყობის საკითხი.



ამ მხრივ კი დღეისათვის არათუ საქართველოს სხვა დასახლებებში, არამედ დედექალაქშიც კი არასა-სარბიელო მდგომარეობა. ვგულისხმობ, როგორც ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილი ურნების, ასევე საცხოვრებელ სახლებში დაგროვილი ნარჩე-ნების განთავსებლად გამოყოფილი კონტეინერების ნაკლებობას. ცალკე აღნიშვნის ღირსია წვრი-ლი კომერციული ობიექტების ნარჩენების შეგრო-ვებისა და გატანის სისტემა, რაც დღემდე პრაქტი-კულად სრულად მოუწესრიგებელია.“ - აცხადებს გარემოსდაცვითი საკითხების ექსპერტი ლაშა ჩხარ-ტიშვილი.

ჩხარტიშვილი მიიჩნევს, რომ სანქციების გამკაცრება კარგია, მაგრამ ის შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს მოსახლეობისა და წვრილი მეწარმეების გადახდისუნარიანობასთან. ის ასევე თვლის, რომ შედეგის მისაღწევად აუცილებელია სახელმწიფომ საზოგა-დოების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული ეფექტური საინ-ფორმაციო-შემეცნებითი კამპანიის განხორციელება დაიწყოს.

„თავისთავად ქუჩებისა და სხვა ტერიტორიების ნარჩენებით დაბინძურების გამო სანქციების გამკაცრება სწორი ნაბიჯია, თუმცა საიმისოდ, რომ აღნიშნულმა რეალური შედეგი მოიტანოს მრავალი გარემოებაა გასათვალისწინებელი. საქმე ის არის, რომ ერთის მხრივ, კონკრეტულ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებთან მიმართებაში ჯარიმების ოდენობა, როგორც გარემოსათვის მიყენებული ზიანის, ასევე მათი შემოსავლების ადეკ-ვატური უნდა იყოს. ის ერთის მხრივ ასე ვთქვათ საგრძნობი ფინანსური ზიანის მომტანი უნდა იყოს მათვის, მაგრამ მეორეს მხრივ, მათი გადახდის უუნაროდ ქცევისა და გაკოტრების წინაპირობაც არ უნდა გახდეს.“

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ვთვლი, რომ განსაკუთრებით კი მოქა-ლაქებთან მიმართებაში სანქციები ზედმეტად მკაცრი და მათ გადახდისუნარიანობასთან შეუსაბამოა. ამასთანავე სანქციების გამკაცრება ზოგადად ნაჩქარევია, რადგან ჯერ და-სახლებული პუნქტებში ოპტიმალურ მაჩვენებლადე უნდა გაიზარდოს ურნებისა და კონტეინერების რაოდენობა, ასევე მოწესრიგდეს წვრილი საწარმოებიდან ნარჩენების გატანის სისტემა და შემდეგ იქნას შემოღებული ისინი. ამ ყოველივეს პარალელურად კი სახელმწიფომ უნდა აწარმოოს საზოგადოების ინფორმირებისა და გარემოსდაცვითი ცნობიერებისაკენ ამაღლების მიმართული აქტიური საზოგადოებრივი კამპანიები.“

კანონი კი უკვე ძალაშია! ნარჩენებით გარემოს დამაბინძურებელი კანონდარმდვევ მოქალაქეთა, ასევე მეწარმეთა გამოვლენა და დაჯარიმება, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დე-პარტამენტს, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებს დაევალათ.

რამდენად სამართლიანია ნაგავი ურნის გარეშე და ჯარიმა ურნის ნაკლებობის გამო ამაზე დავა უკვე დაწყებულია...“

იმას კი, ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური ფონზე დაწესებული საგრძნობად მაღალი საჯარიმო სანქციები, რამდენად შედეგის მომტანი აღმოჩნდება, უკვე დრო გვაჩვენებს...“

ასევე დრო იქნება ობიექტური მსაჯული იმისა, თუ რამდენად მკაცრად მიუდგება ხელისუფლება საკუთარ თავს ნარჩენების მართვის სფეროში დაგროვილი მრავალრიცხო-ვანი პრობლემების გადაჭრისათვის აუცილებელი ქმედებების განხორციელებისას, რო-გორც მან ეს უკვე მოქალაქებთან მიმართებაში განახორციელა...“

სოფო ძიგუა
TV და რადიო პალიტრა, გარემოსდაცვითი
თოქ-შოუ „მწვანე-ზონის“ კორესპონდენტი

ლუბრიკა მაცნელებები

ალბათის ზაგავლენა ჟალის ხევზე

გასული წლის ვეგეტაციის სეზონი კრიტიკული აღმოჩნდა ისეთი სტრატეგიული სასოფლო-სამეურნეო კულტურისათვის, როგორიცაა კაკალი.

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში კაკლის ხის პრობლემები სხვადასხვაგვარად „დალაგდა“. თუმცა თავად დაზიანებული ხეები ტყუპის ცალებივით გავს ერთმანეთს. გთხოვთ შეადაროთ თანდართული სურათები - ერთი მათგანი ცხენისწყლის ხეობაში გახლავთ გადალებული, საშუალო მთის ზონაში, ხოლო მეორე- დურუჯის ხეობაში.

ის, რომ კაკალი ძლიერად რეაგირებს კლიმატის ცვლილებაზე - ამის შესახებ ბევრი მეზობელი და უფრო მოშორებული რეგიონი იტყობინება, განსაკუთრებით ცენტრალური აზია. თუმცა, ჩვენი დაკვირვებით, კლიმატის ზეგავლენის შეფასებას უფრო ღრმა შესწავლა და მიზეზ-შედეგობრიობის კვლევა დაჭირდება, ვინაიდან ძალიან მსგავსი (თითქმის იდენტური) მორფოლოგიური სურათი სრულიად სხვადასხვა მიზეზებით შეიძლება იყოს განპირობებული.

დურუჯის ხეობაში კაკლის პრობლემები 2014 წლის ვეგეტაციის დაწყების შემდგომ ყინვებთან უნდა იყოს დაკავშირებული. ცხენისწყლის ხეობაში ვეგეტაციის პერიოდი უფრო გვიან დაიწყო და ყინვები, ამ შემთხვევაში, გადამწყვეტი ფაქტორი ვერ იქნებოდა; ჩვენი აზრით, ბევრად უფრო საგულისხმოა მკვეთრად მოჭარბებული ტენიანობა, რაც ლენტესის მუნიციპალიტეტში უკვე სერიოზული პრობლემა ხდება გაზაფხულის დაწყებასთან ერთად.

2014 წლის პრობლემები კაკლის ხეებმა მძინარე კვირტების ხარჯზე გადალახეს (გთხოვთ შეადაროთ თანდართული სურათები): ფოთლების განლაგება ხშირია ხის მთავარ ლეროსთან ახლოს, ხოლო ვარჯის დისტანციის ტოტები შიშველია.

ის, რომ ბოლო 3-4 წლის განმავლობაში კაკლის ფოთლებზე უმრავლეს შემთხვევაში შეინიშნება მწერების და სხვა ბიოლოგიური აგენტების ინტერფერენცია (სხვათა შორის თბილისშიაც), უდაო ფაქტია და ფრიად საალბათოდ, ეს აქტივობაც კლიმატის ცვლილებასთან უნდა იყოს დაკავშირებული, თუმცა კაკლის ხეების ზემოაღნიშნული მდგომარეობა ამ კონკრეტულ (ინსექტურსა და ფუნგური ბუნების) ფაქტორებთან უშუალოდ არ უნდა იყოს დაკავშირებული.

შეიძლება ასეც გავმარტოთ - კლიმატის ცვლილების ზეგავლენის პირველადი დაკვირვება ინდიკატორულ არბორეულ კულტურებზე მეგა და მეზო დონეებზე უნდა იყოს სტრუქტურირებული, სადაც მეგა დონე უფრო მეტად გელოგიური, ჰიდროლოგიური, მეტეოროლოგიური და, ბუნებრივია, ბოტანიკური კვლევის ფორმატში უნდა მიმდინარეობდეს, ხოლო მეზო-დონე უფრო მეტად ბიოლოგიური აგენტების ინტერეფერენციაზე უნდა იყოს ფოკუსირებული.

როგორ მოიქცევიან კაკლის ხეები 2015 წელს, თუ გადარჩება წინა სეზონზე დაზიანებული ხეები, როგორია ადაპტაციის პოტენციალის მდგენელები - ეს ყოველივე მიმდინარე კვლევის საგანია, ხოლო



შედეგები გვიჩვენებს, რამდენად სისტემურია კაკლის ხის პრობლემები კლიმატის ცვლილების ფონზე საქართველოს რეალობაში და რამდენად შემთხვევითი იყო 2014 წელს დაფიქსირებული პრობლემა.

თუ თქვენს რეგიონში დააფიქსირებთ კაკლის ხის მსგავს ან სხვაგვარად უჩვეულო ქცევას, გთხოვთ დაგვიკავშირდეთ: contact@info-cda.org ან დაგვირეკოთ (+995 32) 2 967542.

თქვენი ინფორმაცია შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს არა უბრალოდ პრობლემის დაფიქსირების, არამედ საქართველოს ენდემის - კაკლის კულტურის გადარჩენის საქმეში.

ნათელა გიუნაშვილი
ასოციაცია-საზოგადოება განვითარებისათვის

* * *

ენერგეტიკა, ეკოლოგია, პლანატის ცვლილება - პრიზისი?

ქვეყნის ეფექტიანი მართვისთვის აუცილებელია დიდი მოცულობის ეკონომიკური, სოციალური და გარემოს მდგომარეობის მაჩვენებლების ანალიზი და აღრიცხვა. სამეურნეო საქმიანობის ყველა მიმართულების სწორი დაგეგმვა და მართვა, კი დამყარებულია სანდო საინფორმაციო ბაზის შექმნაზე და ამ ბაზის ეფექტიანი მენეჯმენტის სისტემის შემუშავებაზე.

სამწუხაროდ, ენერგეტიკის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის და ადამიანის საქმიანობის სხვა დარგების თანამდევი მავნე პროდუქტები გადამწყვეტილს თამაშობენ გარემოს (ატმოსფეროს) დაბინძურებაში და შესაბამისად ზეგავლენას ახდენენ კლიმატის ცვლილების პროცესზე. გამომდინარე აქედან, ხსენებული საინფორმაციო ბაზის უმთავრეს ელემენტს წარმოადგენს ინფორმაცია კლიმატის შესახებ.

კლიმატის ცვლილებაზე მიღვნილი გაეროს 1992 ჩარჩო კონვენციაში UNFCCC-ში (United Nations Framework Convention on Climate Change) მითითებულია, რომ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ღონისძიებები უნდა განხორციელდეს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ღონისძიებებთან კოორდინაციაში. ასეთი კოორდინაციის მისაღწევად, განვითარებადმა ქვეყნებმა სათბური გაზების გამოფრქვევის შემცირების ღონისძიებების პარალელურად, ენერგოეფექტურობის საშუალებების უფრო მაღალი დონის მიღწევა-მოხმარებით უნდა განახორციელონ ენერგოგენერაციის გაზრდა. EEA-s (European Environmental Agency) მონაცემების მიხედვით, ბოლო 150 წლის განმავლობაში გლობალური კლიმატი ტემპერატურის მატების მხრივ საგრძნობლად შეიცვალა, რაც თავისმხრივ გამოწვეულია ატმოსფეროში CO₂-სა და სხვა მავნე ნივთიერებების გამოფრქვევით.



ამ პრობლემის გადასაჭრელად მსოფლიოში შემუშავდა მარეგულირებელი მექანიზმები, რომელთა შედეგად, დაიდო UNFCCC-ის კონვენცია და მასთან დაკავშირებული კიოტოს პროტოკოლი, რომელიც მხარე ქვეყნებს (განსაკუთრებით განვითარებულ ქვეყნებს) ავალდებულებს, 1990 წლის მონაცემებთან შედარებით (ეს წელიწადი საბაზისოდ არის მიჩნეული), საერთო გამონაბოლქვის ეტაპობრივ შემცირებას. ქვეყნებს ინდივიდუალურად გამოეყოთ გარემოს დაბინძურების ქვოტები (AAUs - assigned amount units) სადაც 1 ერთული წარმოადგენს 1 ტონა CO₂-ს ან მის ექვივალენტს. კიოტოს პროტოკოლი მხარე ქვეყნებს ავალდებულებს ამ ქვოტების დაცვას. ამასთან, შემუშავებულია ე.წ. „მოქნილი

მექანიზმები”, რომელთა დახმარებითაც სახელმწიფოებს საშუალება ეძლევათ შეასრულონ მათზე დაკისრებული ვალდებულებები (ქვოტების ყიდვა-გაყიდვა).

საქართველო მიერთებულია ყველა აღნიშნულ კონვენციას და ხელშეკრულებას. ჩვენს ქვეყანაში ელექტროენერგიის 80%-ი გამომუშავდება ჰიდროელექტროსადგურებზე, დანარჩენი 20%-ი გარდაბანში განთავსებული სამი თბოელექტროსადგურით, რომელთა ძირითად საწვავს ბუნებრივი აირი წარმოადგენს. ეს საწარმოებია: ს.ს. „ენერგიი ინვესტი“, შპს „მტკვარი ენერგეტიკა“ და ს.ს. „თბილსრესი“. ქვეყნის ელექტროენერგიის მთლიანი გამომუშავება დაახლოებით 10 მლრდ კვტსთ შეადგენს. საქართველოს ტერიტორიის 40% დაფარულია ტყეებით, რაც ყოველდღიური საჭიროებისათვის განაპირობებს მოსახლეობის მხრიდან მათ ინტენსიურ ჭრას. სხვადასხვა წყაროების მიხედვით წელიწადში მოჭრილი ტყის რაოდენობა კილოგრატსაათობრივ ექვივალენტში 2-7 მლრდ კვტსაათს უდრის. საერთაშორისო ორგანიზაციების გამოკვლევების მიხედვით საქართველოში 2006 წ. CO₂-ის ემისია ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში 2.5 ტონას შეადგენდა, 2009 წელს - 1.24 ტონას. გამონაბოლქვი საქართველოში შემცირდა: 1990 წ. 46,363 მტ CO₂-ის ექვივალენტიდან - 2006 წ. 12,218 მტ CO₂-ის ექვივალენტამდე (ორივე შემთხვევაში მოსახლეობის რაოდენობა მიჩნეულია 4.5 მლნ.?!).



რამ შეამცირა გამონაბოლქვის რაოდენობა?! აშკარაა, რომ ეს მოხდა არა უახლესი ტექნოლოგიების დანერგვის სარჯზე, არამედ მრეწველობის სრული კოლაფსის გამო, რასაც დიდწილად ხელი შეუწყო წლების მანძილზე ქახნებისა და საწარმოების ძარცვამ და მათი მანქანა-დანადგარების დაყიდვამ ან ჯართად ქცევამ.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ წლების მანძილზე, სხვადასხვა მთავრობების გარემოსდაცვითი და ენერგეტიკის განვითარების პოლიტიკა არსებითად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან - ქართველი ექსპერტების დასკვნების და საზოგადოებრივი აზრის სრული უგულველყოფა თითქმის „ტრადიციად“ იქცა მთავრობებისა და პარლამენტისათვის (ამის მაგალითია ცვლილებები კანონში ნარჩენების შემოტანის და ტრანზიტის შესახებ).

აქედან გამომდინარე ძნელია ცალსახად ვთქვათ, რომ ქვეყანა მოქმედებს ევროკავშირთან ინტეგრაციის კონტექსტში, იმის გათვალისწინებითაც კი, როდესაც გარემოსდაცვითი სტანდარტები ასოცირების ხელშეკრულების თანახმად უნდა ამოქმედდეს ოთხი წლის შემდეგ. თუ ამას დავუმატებთ ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებასთან არ მიერთებას (და არა ქარტიასთან!)..... საკმაოდ შემაშფოთებელი სურათი ისახება.

ნებისმიერი ტექნოგენური კატასტროფა არის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) უგულველყოფის შედეგი. აქედან გამომდინარე საქართველოში ენერგეტიკის განვითარებას, გარემოს დაცვის მხრივ, აქვს სერიოზული პრობლემები, განსაკუთრებით რამოდენიმე ათეული სხვადასხვა ტიპის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის კონტექსტში. უფრო მეტიც, ამ ორი ფენომენის (ენერგეტიკა და გარემოს დაცვა) წესით რაციონალური და კონსენსუსზე აგებული ურთიერთობა სულ უფრო წინააღმდეგობრივი ხდება. ვერავინ ვერ იტყვის, რომ ეკონომიკის განვითარება შეიძლება ენერგეტიკის განვითარების გარეშე განხორციელდეს, მაგრამ ასევე ვერავინ იტყვის, რომ გარემოს დაცვის მიშვებული პრობლემები არ უნდა გავითვალისწინოთ ენერგეტიკის განვითარებისას.

დღევანდელი რეალობა გვიჩვენებს, რომ საქართველოში დაგემილ/განსახორიელებელი ენერგეტიკული პროექტები საგრძნობლად ზრდის ეკოლოგიური რისკების საშიშროებას.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი პლანეტა რამოდენიმე მილიარდი წელიწადი არსებობს, ადამიანს ძალიან გაუჭირდა საკუთარი თავის დამკვიდრება და ამ პროცესს, ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობიდან გამომდინარე, ძალზე დიდი დრო დაჭირდა. ისმის კითხვა - როგორ მოვიქცეთ? ცივილიზაციის ტექნიკური პროგრესისათვის ფიზიკური არსებობის საწყისი ბუნება გავანადგუროდ, თუ ავირჩიოთ გარემოს დაცვის და მისი

შესაძლებელი აღდგენის გზა, რათა გადავარჩინოთ ჩვენი პლანეტა, რომელიც სამყაროში ჯერჯერობით კაცობრიობის არსებობის ერთადერთი კერაა? აღნიშნული პრობლემები გასული საუკუნის 40-ან წლებში გაჩნდა და იმ პერიოდისათვის, თუ პასუხი პირობითად მაქსიმუმ ხუთ ქვეყანას მოეთხოვებოდა, 21-ე საუკუნეში ასეთი პრობლემების გადაჭრაზე უკვე უველა ქვეყანა ფიქრობს, მათ შორის „მესამე სამყარო“, რომლის რიგებში მოგვწონს ჩვენ თუ არ მოგვწონს – საქართველოცაა.



საბჭოთა კაგშირის დანგრევის შემდეგ, საქართველომ უველა შანსი გაუშვა იმისათვის, რომ ეს ასე არ მოხდარიყო. არის თუ არა საქართველო „მესამე სამყაროს“ წარმომადგენელი? სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციიდან გამომდინარე - არის. საქართველოში არსებული ნეგატიური სოციალურ-ეკოლოგიური მდგომარეობა დიდ წილად განპირობებულია ბუნებრივი რესურსების დაუსაბუთებული, გადაჭრაზებული ექსპლოატაციით (მაგალითად ტყის ჭრა, საყდრისი და ა.შ.) და ეკონომიკურად არაადეკვატურად შეფასებული „დერეფნული“ პოლიტიკით, რამაც უკანასკნელ პერიოდში ეკონომიკურ ზრდას ეკოლოგიური პრობლემების და გარემოს დაბინძურების ბარიერი შეუქმნა. ამასთან, აბსოლუტურად გაუგებარია ენერგეტიკული და გარემოს დაცვის პოლიტიკა: ერთის მხრივ გაჯიუტებული დადებითი დამოკიდებულება დიდი კაშხლების, წყალსაცავების, კასკადების და დერივაციული გვირაბების მშენებლობაზე, მეორეს მხრივ არაადეკვატური დამოკიდებულება ამ ჰესების გზშ-ს მიმართ. ამას რომ დავუმატოდ ქვეყნის პარლამენტის მიერ მიღებული აბსოლუტურად უსაფუძვლო გადაწყვეტილება ჰიდროტექნიკური ნაგებობების ასაშენებლად გაურკვეველი წარმოშობის ნარჩენების შემოტანის უფლების შესახებ, აშკარად ჩანს, რომ ქვეყანას არ გააჩნია გააზრებული პოლიტიკა არც ენერგეტიკაში და არც გარემოს დაცვაში.

კაცობრიობას 2050 წლისათვის დაგეგმილი აქვს გააორმაოს ჰიდროენერგიის გამომუშავება, რაც IEA-ს (ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტო) ექსპერტთა აზრით 3 მლრდ ტონით შეამცირებს ატმოსფეროში სათბური გაზების გამონაბოლქვის რაოდენობას. „International rivers“-ის (საერთაშორისო ორგანიზაცია რომელიც გამოდის მაღალი კაშხლების მშენებლობის წინააღმდეგ და მდინარეების გადარჩენის მოთხოვნებით) ანალიტიკოსების აზრით კი დიდი ჰესების მშენებლობისას შექმნილი კაშხლები და წყალსაცავები პასუხი-მგებელი არიან ატმოსფეროში ადამიანის საქმიანობით გამოფრქვეული მეთანის 25%-ზე. IEA-ს 2013 წლის მონაცემების მიხედვით ჰიდროენერგეტიკა ჩვენს პლანეტაზე მოხმარებული ელექტროენერგიის 17%-დე აწარმოებს, რამაც თითქმის 4 ათასი TWH (ტერავატი-1მილიონი მეგავატი) საათში შეადგინა. ცნობისათვის შეგახსენებთ, რომ ატომური ელს-ადგურების წილად მთლიან გამომუშავებაში 13% მოდის, ხოლო დანარჩენი ორგანული საწვავის (67%) და ენერგიის განახლებადი წყაროების (3%) გამოყენებით არის გამომუშავებული. IEA-ს განცხადებით ჰესების მუშაობისას არ წარმოიქმნება ნახშირბადის დიოქსიდი CO₂ და შესაბამისად ემისიაც ნულის ტოლია. „დიდი კაშხლები სათბური გაზების ემისიის უფრო დიდ წყაროს წარმოადგენენ“ – IEA-ს მოხსენებას ოპონირებენ „ნეტერნატიონალ რივერს“-ის წარმომადგენლები. მაგალითისათვის მოყავთ ბრაზილიერი მკვლევარების მონაცემები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ კაშხლები და წყალსაცავები პასუხისმგებელი არიან მეთანის სრული ემისიის 25%-ზე. ციფრებში ეს 104 მლნ ტონა მეთანს (CH₄) შეადგენს, და ეს მონაცემი გლობალური დათბობის მიზეზთა შორის ერთერთ პირველ ადგილზეა.


მდინარეების დამცველების აზრით მაღალი ენერგორესურსების ზრდისათვის კაშხლების მშენებლობა არაადეკვატურ რეაქციას წარმოადგენს, ვინაიდან ჰესების პროექტები ეყრდნობა იმ თვალთსაზრისს, რომ მდინარეების დინების პარამეტრები მომავალში უცვლელი დარჩება. არ ითვალისწინებენ იმ ფაქტს, რომ კლიმატის ცვლილებამ შეიძლება ნალექების რაოდენობის ან მყინვარების დნობის მნიშვნელოვანი და გაუთვალისწინებელი მეტამორფოზა გამოიწვიოს. ასეთ შემთხვევაში ერთის მხრივ ხშირმა გვალვებმა ჰესები,

წყლის ნაკლებობის გამო, შეიძლება ეკონომიკურად არარენტაბელურად აქციოს, ხოლო მძლავრი ნალექების შემთხვევაში კაშხლების გარღვევის, ნატანის დიდი რაოდნობის და კატასტროფული წყალდიდობების რისკი არის მოსალოდნელი.

სულ მსოფლიოში 80 ათასი წყალსაცავია, მათ შორის 1000-სი ჰესებს ეკუთვნის. ჰესებთან არსებული წყალსაცავების მთლიანი საშუალო ფართი 6000 კმ². საქართველოს ტერიტორიაზე 44 წყალსაცავია, საერთო ფართობით 163 კმ², ხოლო მოცულობა 3,3 მლნ. მ³. უკანასკნელ ათწლეულში ჩატარებული გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ ჰესების წყალსაცავები, თავისი წარმოქმნის ანთროპოგენური მიზეზების გამო, სათბური გაზების გამოყოფის მძლავრ წყაროს წარმოადგენს. ამ პროცესის ნედლეულად, რომელიც ორგანული ნახშირბადის დესტრუქციის დროს ვითარდება, მცენარეულობა, ნიადაგი, პლანეტონი, ჩამონადენი წყლები და ა.შ. წარმოადგენს. თავისი არსებობის ჰერიოდში წყალსაცავები ნებისმიერ განედზე მუდმივად წარმოადგენს მეთანის, ნახშირორჟანგის და სხვა სახის გამონაბოლქვების წყაროს. გამოფრქვევის ინტენსივობაზე ბევრი ფაქტორი მოქმედებს, მათ შორის წყალსაცავების ექსპლოატაციის რეჟიმები, ლოკალური ბუნებრივ-კლიმატური პირობები, წყალსაკრების ათვისების სამეურნეო მასშტაბები, ეკოლოგიური მდგომარეობა და სხვა. გამოკვლევების შედეგი, რომლებიც სხვადასხვა კონტინენტზე ჩაუტარდა 100 წყალსაცავს, გვიჩვენებს, რომ სათბური გაზების გამოფრქვევის საერთო მოცულობა 48 მლნ ტ CO₂ და 2 მლნ ტ CH₄ შეადგენს. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მეთანის მავნე ზემოქმედება გარემოზე 21-ჯერ აღემატება CO₂ ზემოქმედებას. ამ შედეგების მიხედვით CO₂ საშუალო გამოფრქვევამ დაახლოებით 100გ CO₂/კვტს შეადგინა. არის თუ არა ჰესებზე მიღებული ელ/ენერგია სუფთა? სამწუხაროდ არა. მაგალითად საქართველოში მარტო ჰესებზე მიღებულ ელ/ენერგიას ყოველ წლიურად 800 ათასი ტ მარტო CO₂ გამოფრქვევა მოყვება, რაც ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში 200 კგ შეადგენს.

იმისათვის, რომ შეგაჩეროდ თითქმის უკვე არაკონტროლირებადი კლიმატის ცვლილება, აუცილებელია ენერგეტიკის განვითარებისათვის გამოვიყენოთ ენერგიის განახლებადი წყაროები. თუ, დღესვე მიგილებთ შესაბამის ზომებს და ენერგეტიკის განვითარებაში პრიორიტეტს განახლებადი ენერგიის წყაროებს მივანიშებთ, 2050 წლისათვის შევძლებთ მოსახლეობის ენერგეტიკული მოთხოვნების დაკავილებას. ამ კონტექსტში სასიხარულო ენერგეტიკის სამინისტროს მიერ დაანონსებული ინფორმაცია 2015 წელს გორის რაიონში ქარის ელ/სადგურის შესაძლო მშენებლობის შესახებ და ამავე დროს

ნამდვილად არ არის სასიხარულო გარდაბანში მშენებარე 230 მვტ აირტურბინული ელ/სადგურის გაშვება მ/წ აგვისტოს თვეში, რომლის წლიური გამონაბოლქვი 1 მლნ ტ და 1 სულ მოსახლეზე 250 კგ CO₂ შეადგენს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მსოფლიოში 2012 წლიდან ექსპლოატაციაში შეუვანილი ენერგოსიმძლავრების ნახევარი განახლებად ენერგიის წყაროებას.



მოვიდა დრო როდესაც რადიკალურად უნდა გამოვთქვად ჩვენი პოზიცია: პიდროენერგეტიკა და თბოელექტროსადგურები, რომლებიც წიაღისეულ საწვავზე მუშაობენ, წარმოადგენ მე-19 საუკუნის ენერგეტიკას. ქვეყნის მთავრობა უნდა შეტრიალდეს 21-ე საუკუნის ენერგიის წყაროებისაკენ, განსაკუთრებით მზისა და ქარისაკენ, რომლებიც ენერგოდაზოგვის და ენერგოფენერგეტიკულობის თანამედროვე სამეცნიერო მიღწევების დანერგვასთან ერთად უზრუნველყოფს მოსახლეობას ეკოლოგიურად სუფთა და ხელმისაწვდომი ენერგიით.

თამაზ ვაშაკიძე, ნინო ჩხობაძე



პროექტს - „დავასუფთაოთ საქართველო - საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მისი ჩართვა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროცესში“ (ფაზა 2), ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაციათა კონსოლიუმი – „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო, მდგრადი განვითარების კავშირი „ეკოგიუენი“ და საქართველოს ბუნების მკვდევართა კავშირი „ორქისი“, შვედეთის მთავრობის ფინანსური უზრუნველყოფით.



22 მარტი შელის რესურსების დაცვის დღეა

22 მარტს, საქართველოს მწვანეთა მოძრაობის ორგანიზებით, „დავასუფთაოთ საქართველო“ კამპანიის ფარგლებში, ჩატარდა თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე დასუფთავების აქცია, რომელშიც ორანიზატორებთან ერთად მონაწილობა მიიღეს თბილისის 208-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა და პედაგოგებმა. შეგროვდა დაახლოებით 5 მ³ ნარჩენი რომელიც გატანილი იქნა შესაბამისი სამსაურის მიერ ნაგავსაყრელზე.



პროექტი „დავასუფთაოთ საქართველო - საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მისი ჩართვა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროცესში“ (ფაზა 2) ხორციელდება შვედეთის მთავრობის ფინანსური უზრუნველყოფით



პროექტი „დავასუფთაოთ საქართველო - საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მისი ჩართვა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროცესში“ (ფაზა 2) ხორციელდება საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით

რედაქტორი: ლელა ყაჭეიშვილი

გამოცემაზე მუშაობდნენ: ლელა ყაჭეიშვილი, მარა კაპანაძე

დიზაინი: ირაკლი გულედანი

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები - საქართველო

საქართველო, თბილისი, მუხაძის ქ. №16, 0162

ტელ/ფაქსი: (+995 32) 2233740; ელ-ფოსტა: info@greens.ge

Web-გვერდი: www.greens.ge www.cleanup.ge